

## შპს სერვისი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2021  
წლის 31 დეკემბერს

## სარჩევი:

### ფინანსური ანგარიშგება

|                                                  |          |
|--------------------------------------------------|----------|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----         | 1        |
| საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----          | 2        |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ----- | 3        |
| <br>ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----          | <br>4-17 |

შპს სერვისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

|                                             | შენიშვნა | 12/31/2021       | 12/31/2020       | 12/31/2019       |
|---------------------------------------------|----------|------------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                             |          |                  |                  |                  |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                |          |                  |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                        | 3        | 716,440          | 590,374          | 634,135          |
| არამატერიალური აქტივები                     |          | 1,265            | 1,441            | 1,632            |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში           |          | 390,250          | 0                | 0                |
|                                             |          | <b>1,107,955</b> | <b>591,815</b>   | <b>635,767</b>   |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                |          |                  |                  |                  |
| ფულადი სახსრები                             | 4        | 62,084           | 203,631          | 121,760          |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები     | 5        | 470,165          | 85,339           | 531,960          |
| ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები  | 6        | 137,070          | 4,516            | 3,603            |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები             | 7        | 99,417           | 124,170          | 75,030           |
| მარაგები                                    | 8        | 376,402          | 246,453          | 68,931           |
| სხვა მიმდინარე აქტივები                     |          | 0                | 119              | 9,774            |
|                                             |          | <b>1,145,138</b> | <b>664,226</b>   | <b>811,058</b>   |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                     |          | <b>2,253,093</b> | <b>1,256,041</b> | <b>1,446,825</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                     |          |                  |                  |                  |
| პარტნიორთა კაპიტალი                         |          | 2,000            | 2,000            | 2,000            |
| გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი       |          | 50,357           | 29,477           | -294,313         |
|                                             |          | <b>52,357</b>    | <b>31,477</b>    | <b>-292,313</b>  |
| <b>ვალდებულებები</b>                        |          |                  |                  |                  |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>           |          |                  |                  |                  |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები          | 9        | 777,031          | 0                | 343,976          |
|                                             |          | <b>777,031</b>   | <b>0</b>         | <b>343,976</b>   |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>           |          |                  |                  |                  |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები  | 10       | 948,669          | 950,942          | 928,689          |
| გადასახდელი ხელფასი                         |          | 58,095           | 8,389            | 96,544           |
| მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები          | 11       | 210,000          | 37,256           | 0                |
| გადასახდელი პროცენტი                        | 12       | 100,000          | 204,317          | 282,578          |
| საგადასახადო ვალდებულებები                  |          | 106,940          | 23,660           | 87,352           |
|                                             |          | <b>1,423,704</b> | <b>1,224,564</b> | <b>1,395,162</b> |
| <b>მთლიანი ვალდებულებები</b>                |          | <b>2,200,735</b> | <b>1,224,564</b> | <b>1,739,138</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი &amp; ვალდებულებები</b> |          | <b>2,253,093</b> | <b>1,256,041</b> | <b>1,446,825</b> |

დირექტორი:

შპს სერვისი

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის დასრულებული წლისათვის  
(ლარი)

|                                | შენიშვნა | 12/31/2021       | 12/31/2020       |
|--------------------------------|----------|------------------|------------------|
| ამონაგები                      | 13       | 5,050,244        | 4,409,159        |
| თვითღირებულება                 |          | (3,349,390)      | (3,280,951)      |
| <b>საერთო მოგება</b>           |          | <b>1,700,854</b> | <b>1,128,208</b> |
| სხვა შემოსავლები               | 14       | 52,901           | 41,440           |
| ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი | 15       | (1,597,278)      | (787,364)        |
| მოთხოვნის გაუფასურება          |          | -                | -                |
| სხვა ხარჯები                   | 16       | (78,279)         | (24,702)         |
| <b>საოპერაციო მოგება</b>       |          | <b>78,198</b>    | <b>357,581</b>   |
| ფინანსური შემოსავალი           |          | -                | -                |
| ფინანსური ხარჯი                | 17       | (57,317)         | (33,792)         |
| ფინანსური ხარჯი - წმინდა       |          | (57,317)         | (33,792)         |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>      |          | <b>20,880</b>    | <b>323,790</b>   |
| მოგების გადასახადი             |          | -                | -                |
| <b>პერიოდის მოგება</b>         |          | <b>20,880</b>    | <b>323,790</b>   |

დირექტორი:



შპს სერვისი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ლარში)

|                               | პარტნიორთა კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება/დაუფარავ<br>ი ზარალი | მთლიანი კაპიტალი |
|-------------------------------|---------------------|----------------------------------------------|------------------|
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>2,000</b>        | <b>(294,313)</b>                             | <b>(292,313)</b> |
| მოგება წლის ბოლოს             |                     | 323,790                                      | 323,790          |
| სხვა სრული შემოსავალი         | -                   |                                              | -                |
| პერიოდის სრული შემოსავალი     | -                   | 323,790                                      | 323,790          |
| გაცემული დივიდენდი            |                     | -                                            | -                |
| კაპიტალის გატანა              |                     | -                                            | -                |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>2,000</b>        | <b>29,477</b>                                | <b>31,477</b>    |
| მოგება წლის ბოლოს             |                     | 20,880                                       | 20,880           |
| სხვა სრული შემოსავალი         |                     |                                              | -                |
| პერიოდის სრული შემოსავალი     | -                   | 20,880                                       | 20,880           |
| გაცემული დივიდენდი            |                     |                                              | -                |
| კაპიტალის გატანა              |                     | -                                            | -                |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>2,000</b>        | <b>50,357</b>                                | <b>52,357</b>    |

დირექტორი:



## ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

### 1. ძირითადი საქმიანობა

#### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სერვისი (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2004 წლის 18 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 205044842. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ირ. აბაშიძის ქ., N 77.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: წყლის ნაგებობების მშენებლობა.

კომპანიის დამფუძნებელი (მესაკუთრე) არის ფიზიკური პირი- დავით გეგენავა, 01030006664-100% იანი წილის მფლობელი.

კომპანიის დირექტორებს წარმოადგენენ:

ა. გენერალური დირექტორი - დავით გეგენავა, 01030006664,

ბ. დირექტორი - ყარამან გეგენავა, 01030006508.

### შესაბამისობის განცხადება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ზასს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ამ ანგარიშგებაში ვსარგებლობთ შეღავათით და არ არის წარმოდგენილი ფულის მოძრაობის ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

## მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

### შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

#### (ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

#### (ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2020 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

### საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| პერიოდი                          | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------|--------|--------|
| კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის | 3,2766 | 4,0233 |
| კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის | 3.0976 | 3.5040 |

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

### ტერმინების განმარტებები:

#### ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

### დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძნელები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

## **ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

**ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება** არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

## **გადაფარვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

## **ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

## **სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები**

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

## მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

## ძირითადი საშუალებები

### ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

### ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

## ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო მომსახურების ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|---------------------------|--------------------------------------|
| შენობა-ნაგებობები         | 20                                   |
| მანქანა-დანადგარები       | 5-8                                  |
| კომპიუტერული ტექნიკა      | 5-8                                  |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი   | 5-10                                 |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 2-5                                  |

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 20%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

## აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

### სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

### ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

### ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

### **სახელფასო განაცემები**

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

### **საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### **ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და

შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

### **მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

## **2. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები**

### შენიშვნა 3

#### ძირითადი საშუალებები

|                          | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | იაფასიანი<br>ინვენტარი<br>და<br>ხელსაწყოები | ავეჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ            |
|--------------------------|-------------------------|-----------------------|---------------------------------------------|-------------------------------|-----------------------------|----------------|
| <b>31 დეკემბერი 2019</b> | <b>84,058</b>           | <b>15,120</b>         | <b>7,675</b>                                | <b>36,840</b>                 | <b>490,442</b>              | <b>634,135</b> |
| შემოსვლა                 | 5,700                   | 2,553                 | -                                           | -                             | 62,529                      | 70,783         |
| გასვლა                   | -                       | -                     | -                                           | -                             | -                           | -              |
| ცვეთა და გაუფასურება     | 17,459                  | 4,657                 | 1,223                                       | 13,276                        | 77,929                      | 114,544        |
| <b>31 დეკემბერი 2020</b> | <b>72,299</b>           | <b>13,017</b>         | <b>6,452</b>                                | <b>23,565</b>                 | <b>475,042</b>              | <b>590,374</b> |
| შემოსვლა                 | -                       | -                     | -                                           | -                             | 245,998                     | 245,998        |
| გასვლა                   | -                       | -                     | -                                           | -                             | -                           | -              |
| ცვეთა და გაუფასურება     | 16,598                  | 4,094                 | 1,129                                       | 12,254                        | 85,856                      | 119,931        |
| <b>31 დეკემბერი 2021</b> | <b>55,700</b>           | <b>8,923</b>          | <b>5,323</b>                                | <b>11,310</b>                 | <b>635,184</b>              | <b>716,440</b> |

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

### შენიშვნა 4

#### ფულადი სახსრები

|                                 | 2021             | 2020              | 2019              |
|---------------------------------|------------------|-------------------|-------------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში     | 43,242.71        | 123,567.68        | 102,328.09        |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 18,841.50        | 80,063.35         | 19,431.77         |
| <b>სულ</b>                      | <b>62,084.21</b> | <b>203,631.03</b> | <b>121,759.86</b> |

### შენიშვნა 5

#### სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

|                                          | 2021              | 2020             | 2019              |
|------------------------------------------|-------------------|------------------|-------------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 469,864.70        | 85,313.54        | 531,756.28        |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ    | 300.00            | 25.00            | 203.30            |
| <b>სულ</b>                               | <b>470,164.70</b> | <b>85,338.54</b> | <b>531,959.58</b> |

### შენიშვნა 6

#### ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები

|                                   | 2021              | 2020            | 2019            |
|-----------------------------------|-------------------|-----------------|-----------------|
| მიმდინარე დავალიანება             | 136,994.57        | 4,515.55        | 2,775.24        |
| ფ/პირებისგან მიღებული მომსახურება | -                 | -               | 500.00          |
| კომუნალური, კომუნიკაცია           | 75.43             | 0.06            | 327.94          |
| <b>სულ</b>                        | <b>137,070.00</b> | <b>4,515.61</b> | <b>3,603.18</b> |

**შენიშვნა 7**

**წინასწარ გადახდილი გადასახადები**

გადახდილი გადასახადი რომელიც წარმოიქმნა მიღებული ავანსის დაბეგრისას და მომსახურების გაწევამდე წარმოადგენს კომპანიის აქტივს.

**შენიშვნა 8**

**მარაგები**

|                                   | 2021              | 2020              | 2019             |
|-----------------------------------|-------------------|-------------------|------------------|
| დამხმარე მასალა                   | 121.22            | 3,373.29          | 278.37           |
| სამშენებლო ინვენტარი              | 315.58            | 732.36            | 95.92            |
| მასალა                            | 370,060.01        | 219,789.19        | 65,588.11        |
| საწვავი                           | 5,905.33          | 22,346.55         | 2,936.85         |
| სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი | -                 | 211.16            | 31.42            |
| <b>სულ</b>                        | <b>376,402.14</b> | <b>246,452.55</b> | <b>68,930.67</b> |

**შენიშვნა 9**

**გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები**

|                                       | 2021              | 2020        | 2019              |
|---------------------------------------|-------------------|-------------|-------------------|
| გრძელვადიანი სესხები პარტნიორებისაგან | -                 | -           | 263,519.57        |
| გრძელვადიანი სესხები საკრედიტო        | 777,030.91        | 0.01        | 80,456.57         |
| <b>ორგანიზაციებიდან</b>               |                   |             |                   |
| <b>სულ</b>                            | <b>777,030.91</b> | <b>0.01</b> | <b>343,976.14</b> |

**შენიშვნა 10**

**სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები**

|                                           | 2021       | 2020       | 2019       |
|-------------------------------------------|------------|------------|------------|
| მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები | 270,070.56 | 131,764.12 | 434,542.08 |
| მიღებული ავანსები                         | 651,728.25 | 814,158.66 | 492,020.37 |
| ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე  | -          | 95.00      | 10.00      |
| სხვა გადასახადები                         | 26,870.36  | 4,923.99   | 2,116.29   |

|            |            |            |            |
|------------|------------|------------|------------|
| <b>სულ</b> | 948,669.17 | 950,941.77 | 928,688.74 |
|------------|------------|------------|------------|

**შენიშვნა 11**

**მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები**

|                         | 2021       | 2020      | 2019 |
|-------------------------|------------|-----------|------|
| მოკლევადიანი სესხები    | 210,000.00 | 26,641.69 | -    |
| სესხები პარტნიორებისგან | -          | 10,614.60 | -    |
| <b>სულ</b>              | 210,000.00 | 37,256.29 | -    |

**შენიშვნა 12**

**გადასახდელი პროცენტი**

|                                                    | 2021       | 2020       | 2019       |
|----------------------------------------------------|------------|------------|------------|
| მოკლევადიანი სესხები საკრედიტო<br>ორგანიზაციებიდან | -          | -          | -          |
| გრძელვადიანი სესხები პარტნიორებისაგან              | 100,000.00 | 204,316.68 | 280,099.44 |
| გრძელვადიანი სესხები საკრედიტო<br>ორგანიზაციებიდან | -          | -          | 2,478.07   |
|                                                    | 100,000.00 | 204,316.68 | 282,577.51 |

**შენიშვნა 13**

**ამონაგები**

კომპანიის ამონაგები შედგება ძირითადი საქმიანობის ფარგლებში შესრულებული სამუშაოებით მიღებული შემოსავლისგან.

**შენიშვნა 14**

**სხვა შემოსავლები**

|                               | 2021      | 2020      |
|-------------------------------|-----------|-----------|
| არასაოპერაციო მოგება          | 3,355.39  | 571.09    |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 49,545.73 | 40,869.03 |
| <b>სულ</b>                    | 52,901.12 | 41,440.12 |

**შენიშვნა 15**

**ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი**

შპს სერვისი ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

|                         | 2021                | 2020              |
|-------------------------|---------------------|-------------------|
| რეკლამის ხარჯები        | -                   | -                 |
| შრომის ანაზღაურება      | 1,212,431.13        | 721,999.68        |
| სოციალური დანარიცხები   | 12,223.19           | 10,253.85         |
| საოფისე ინვენტარი       | -                   | -                 |
| კომუნიკაციის ხარჯები    | 5,977.42            | 4,622.74          |
| კომუნალური ხარჯები      | 4,596.50            | 3,530.23          |
| კომპიუტერის ხარჯები     | -                   | 974.58            |
| საკონსულტაციო ხარჯები   | 26,400.00           | 26,400.00         |
| ცვეთა და ამორტიზაცია    | 8,216.97            | 2,104.96          |
| სხვა საგადასახადო ხარჯი | 6,534.47            | 4,966.49          |
| საბანკო მომსახურება     | 14,478.66           | 5,652.66          |
| სხვა საერთო ხარჯი       | 306,251.13          | 6,859.10          |
| დასაბეგრი ხარჯი         | 168.64              | -                 |
| <b>სულ</b>              | <b>1,597,278.11</b> | <b>787,364.29</b> |

#### შენიშვნა 16

##### სხვა ხარჯები

|                            | 2021             | 2020             |
|----------------------------|------------------|------------------|
| არასაოპერაციო ზარალი       | -                | 6,865.35         |
| ჯარიმები                   | 72,593.93        | 16,250.22        |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები | 5,684.97         | 1,586.60         |
| <b>სულ</b>                 | <b>78,278.90</b> | <b>24,702.17</b> |

#### შენიშვნა 17

##### ფინანსური ხარჯი

|                    | 2021             | 2020             |
|--------------------|------------------|------------------|
| საპროცენტო ხარჯები | 57,317.35        | 33,791.71        |
| <b>სულ</b>         | <b>57,317.35</b> | <b>33,791.71</b> |

#### საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2021 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

### ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2022 წლის 11 ნოემბერს;

დირექტორი:

